staff of the Parliament of Georgia
Digitally signed by staff of the Parliament of Georgia
Date: 2023.12.21 10:32:34 +04'00'

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის 2023 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა თაობაზე

2023 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს პარლამენტში შემოვიდა 368 განცხადება, მათ შორის, 82 განცხადება – საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე (contact@parliament.ge).

განმცხადებლები იყვნენ: სამთავრობო დაწესებულებები (26 განცხადება), თვითმმართველობის ორგანოები (2 განცხადება), პენიტენციური დაწესებულებები (52 განცხადება), საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (7 განცხადება), მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (20 განცხადება), მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები (2 განცხადება), ადვოკატები (2 განცხადება), ფიზიკური პირები (146 განცხადება) და იურიდიული პირები (111 განცხადება). განმცხადებლები მოითხოვდნენ საჯარო ინფორმაციას საქართველოს პარლამენტში ინიციირებული კანონპროექტების, შესაბამისი განმარტებითი ბარათებისა და დასკვნების, პარლამენტის დროებითი და დროებითი საგამოძიებო კომისიების დასკვნების, პარლამენტის პლენარულ სხდომებზე კანონპროექტების განხილვის სტენოგრაფიული ჩანაწერების, სხვადასხვა ნორმატიული აქტის კენჭისყრის შედეგების, პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და კონვენციების შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი პროაქტიულად ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე (www.parliament.ge) და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში შემოსულ განცხადებებზე მოხდა შემდეგი რეაგირება:

- 325 განცხადებაზე ოფიციალური პასუხები და შესაბამისი მასალა გაიგზავნა ფოსტით (ასევე ელექტრონული ფოსტით);
- 1 განცხადებაზე დაინტერესებულ პირებს მიეცათ ზეპირი განმარტება;
- 13 განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- 29 განცხადება დამუშავების პროცესშია.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა არ შემოსულა. 2 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ნაწილობრივ უარის თქმის თაობაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის აპარატში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რის შედეგადაც აღნიშნულ სისტემაში მონაცემთა ბაზები ავტომატურ

რეჟიმში იქმნება. საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში.

საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 92-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები, გარდა დახურული სხდომისა, საჯაროდ მიმდინარეობს. პლენარული სხდომები პირდაპირი ეთერით გადაიცემა საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ გვერდებსა და YouTube-არხზე. აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის სექტემბრიდან მაუწყებლობა დაიწყო „საქართველოს პარლამენტის არხმა“, რომელიც პირდაპირი ეთერით გადასცემს პარლამენტის პლენარულ და კომიტეტების სხდომებს. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, კომიტეტის სხდომა საჯაროა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა. საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 1 გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადების თაობაზე. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის კომიტეტებს, მიღებულ იქნა 6 გადაწყვეტილება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომის დახურულად გამოცხადების თაობაზე, 4 გადაწყვეტილება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომის დახურულად გამოცხადების თაობაზე და 1 გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ერთობლივი სხდომის დახურულად გამოცხადების თაობაზე.

„ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნდობის ჯგუფის სხდომები დახურულია. 2023 წელს გაიმართა აღნიშნული ჯგუფის 11 სხდომა.

2023 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე 3 გადაწყვეტილება გასაჩივრდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელთა სასამართლო პროცესები ჯერ არ დასრულებულა. ამასთანავე, კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხების გადახდის ვალდებულება საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის აპარატს არ წარმოშობია.

2023 წელს საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლებს არ დაურღვევიათ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები და არ დასდებიათ შესაბამისი დისციპლინური სახდელი.